ვახტანგ ჭანკოტაძე

თავი დავსრულდა პალასს

ეპიგრამებით
შელამაზებული
ისტორია

ვახტანგ ჭანკოტაძე

თავი დაჰხროდა პალასს

(ეპიგრაფებით შელამაზებული ისტორია)

გორი
2020

წიგნი ეძღვნება აწგარდაცვლილ თანამემამულეებს

რედაქტორი:

დ. ჭანკოტაძე

კორექტორი:

ნ. ფოცხვერაშვილი

წინასიტყვაობა

მნიშვნელოვანი დატვირთვის მატარებელია სიტყვა „წუთისოფელი“. იგი მიგვანიშნებს, ერთის მხრივ მასზე, რომ ასეთუისე ხანმოკლეა ჩვენი ყოფა და მეორეს მხრივ კი იმაზე, რომ რაც ჩვენში და ჩვენს გარშემო ხდება – ყველაფერი წუთებით ათვლას ექვემდებარება. და რაკი ეს ასეა, აღვნიშნავ, რომ თელავალმა კაცმა გორში გავატარე ცხოვრების ყველაზე ხანგრძლივი და საინტერესო პერიოდი დღემდე (2020 წ.), რაც დაახლოებით 33 (ოცდაცამეტი) მილიონი წუთის გაელვებას უდრის.

1957 წლის ზაფხულის ერთ ცხელ დღეს პირველად დავადგი ფეხი გორის მიწას. მაშინ 24 წლის ვიყავი და დღესაც ვერ ამიხსნია, თუ როგორ მოხდა, რომ გორი ადრე არ მქონდა ნანახი. მიკვირდა, რატომ ვერცერთხელ ვერ მოვხვდი იმ ექსკურსანტთა ჯგუფებში, რომლებიც, როგორც სკოლიდან, ისე უნივერსიტეტიდან რამდენჯერმე იყვნენ გორში.

ასეა თუ ისე, თბილისის რკინიგზის სადგურში ჩავჯექი მატარებელში, რომელიც (როგორც მითხრეს) ორსაათნახევარში იქნებოდა გორში (როგორც ახალგაზრდა სპეციალისტი, სამუშაოდ გამანაწილეს ახლადგახსნილ კვლევით-სამეცნიერო ინსტიტუტში). არ ვიცი, შემთხვევითობაა, თუ ბედისწერა – მამაჩემსაც ეს გზა გაუვლია, როცა უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ, როგორც მეტყევე-ინჟინერი, სამუშაოდ გაუნაწილებიათ გორის სატყეო მეურნეობის სისტემაში, 1929 წელს.

მატარებელი დაიძრა და ჩავიძირე ფიქრებში: ნეტავ როგორი ქალაქია გორი? როგორი ხალხი ცხოვრობს? ვინ გამიწევს მეგობრობას? სამუშაო რა სიძნელის იქნება? რამდენი მექნება ხელფასი? სად ვიცხოვრებ? და ა. შ.

სადგურების, ჩემთვის უცნობი და იმავდროულად უცნაურადჟღერადი სახელწოდებები რაღაც მოკრძალებას და შინაგან დაინტერესებას იწვევდა. საქართველოს ისტორიიდან ზოგი რამ ვიცოდი გორის შესახებ, მაგრამ მაშინ ვერ წარმოვიდგენდი, თუ რარიგ საინტერესო ქალაქში (კუთხეში) მიმზადებდა ცხოვრების დიდი ნაწილის გატარებას ბედისწერა. რა ვიცოდი, რომ წინ მელოდა: გორის ციხე და გორიჯვარი, ყინწვისი და დანახვისი, რუისი და ურბნისი, უფლისციხე და სტალინის სახლმუზეუმი, ატენის სიონი და ვინ მოთვლის კიდევ რა და რამდენი...

ესეც გორის სადგური. მატარებლიდან ჩამოვედი თუ არა, მაშინვე შევამჩნიე იოსებ სტალინის დიდი სურათი. თვალი გამექცა საათის ისრებისაკენ, იყო 12 საათი და 15 წუთი, 1957 წლის 25 ივნისი. შევხედე ციფერბლატს და დავაფიქსირე ჩემი ცხოვრების ახალი ეტაპის დასაწყისი, ახალი ეტაპისა, ახალ გარემოში....

აღსანიშნავია ისიც, რომ იყო სამშაბათი დღე, ანუ ჩემი დაბადების დღე (და არა დაბადების თვე და რიცხვი. რატომღაც დამკვიდრდა რომ დაბადების დღეს ვეძახით დაბადების თვეს და რიცხვს?!). კარგ ნიშნად მეჩვენა ეს ფაქტი, თითქოს მეორედ უნდა დავბადებულიყავი, ამჯერად უკვე გორში.

აჩეჩილ-დაჩეჩილი ტანისამოსი შევისწორე და ღრმად ჩავისუნთქე; ჩემს ფილტვებში პირველად შეაღწია ქართლის სურნელებით გაჟღენთილმა ჰაერმა და ძალა შემმატა.

მაშინ არც ტროლეიბუსი მოძრაობდა და არც ე. წ. „მარშრუტკები“ დაჰქროდნენ თავაწყვეტით. არც ტაქსზე ოცნება შემეძლო უმუშევარ ახალგაზრდა ინჟინერს. ჰოდა. გავყევი ხალხის ნაკადს „ძველი ხიდისკენ“ (მაშინ ჯერ კიდევ არ იყო ე. წ. „ახალი ხიდი“).

მივყვებოდი ხალხს და კვლავ მომეძალა ფიქრი; მრავალი კითხვა თხოულობს პასუხს: როგორები არიან გორელები?

რა უყვართ და რა არა? რა ტრადიციებით და ზნე-ჩვეულებებით გამოირჩევიან? როგორი მეზობლობა და მეგობრობა იციან? როგორი პურმარილი და თამადობა იციან? მღერიან თუ არა სუფრასთან? ხელგაშლილები არიან თუ მომჭირნენი? ვისით ამაყობენ და როგორ კაცს ვერ იტანენ? როგორი ბიჭები მოსწონთ გოგონებს? და ა. შ.

მოკლედ, მივყვები ხალხის ნაკადს ჩემთვის უცნობი ქალაქისაკენ და რაც უფრო ვუახლოვდები, მით უფრო ვნერვიულობ და ერთიანად დაძაბული ვარ – მიმიღებს გორი?!

სამსახურში მიმიღეს; საცხოვრებლად სასტუმრო „ქართლის“ მეორე სართულზე განმაწესეს და დაიწყო ის, რაც დაიწყო და გრძელდება დღემდე – ფრიად შინაარსიანი და მრავალფეროვანი 63 (სამოცდასამი) წელი. მაშინ ვერ წარმოვიდგენდი, რომ გორში შევქმნიდი ოჯახს (ბევრჯერ მოვინდომე თელავში გადასვლა, მაგრამ რატომღაც ვერ მოხერხდა), აქვე შემეძინებოდა ორი ვაჟკაცი, დავიცავდი დისერტაციას, შევხვდებოდი და ვიზეიმებდი ე.წ. „ვერცხლისა“ და „ოქროს“ ქორწილებს, შემეძინებოდა ორი შვილიშვილი და შვილთაშვილი, გამოვცემდი წიგნებს და ა. შ.

სამი წელიწადის განმავლობაში (სანამ ოჯახს შევქმნიდი) გიტარა მეჭირა ხელში და ჩემს გორელ მეგობრებთან ერთად დაკვრითა და სიმღერ-სიმღერით მაქვს შემოვლილი მთელი გორის რაიონი. გიტარას მასპინძლის ოჯახში ვტოვებდი, რათა განმეორებითი სტუმრობის შემთხვევაში არ ვყოფილიყავით უგიტაროდ (გორის ცენტრალურ უნივერმაღში გიტარა 5 მანეთი ღირდა).

მალე შემიყვარეს გორელებმა და მეც დიდი პატივისცემით ვიყავი მათდამი გამსჭვალული, თუმცა იყვნენ ისეთებიც, რომლებიც „ჩამოსულს“ მეძახდნენ და ისე, რომ ამ სიტყვაში რაღაცნაირი ქილიკი, ნიშნისმოგება, თუ შეუთავსებადობა იგრძნობოდა. მიმაჩნდა და კვლავაც მიმაჩნია, რომ მკრეხელობის ტოლფასია, როცა საქართვე-

ლოში დაბადებულ კაცს საქართველოშივე მაცხოვრებელს უწოდებ „ჩამოსულს“ და ისიც რაღაც ღვარძლით თუ ზიზღით. 15-20 წლის შემდეგაც მსმენია ეს სიტყვა, ჩემი მისამართით, მაგრამ უკვე რაღაცნაირად შერბილებულად და შედარებით იშვიათად, თანაც ნაკლები სიბოროტით და შეიძლება ითქვას, ნაკლები შეუთავსებადობით. ეს უკვე მცირე, მაგრამ მაინც წარმატება იყო. აი, დიდი ხნის შემდეგ კი, თუ ვინმე ჩემს მიმართ სიტყვა „ჩამოსულს“ იხმარდა, უკვე ვგრძნობდი, როგორი სითბოთი და სიყვარულით ამბობდნენ ამას – გამოსჭვიოდა კეთილგანწყობა, მოფერება და პატივისცემა. ეს უკვე გამარჯვება იყო, რისთვისაც მადლობას მოვახსენებ ჩემ ყველა გორელ ახლობელს და ნაცნობს. დავრწმუნდი, რომ გორელებმა მიმიღეს, დამაფასეს და შემიყვარეს. ყოველივე ამას კი თითქმის ნახევარი საუკუნე დასჭირდა.

აქვე მინდა აღვნიშნო, რომ პირველ წლებში განსაკუთრებით გამიჭირდა შეჩვევა ორ რამესთან: გორულ კილოკავთან, („ვიყიდეი“, „ბესოი“ და ა. შ.) და გორულ ღვინოსთან. კახურ ღვინოზე გაზრდილს, ქართლის ღვინო მიმაჩნდა რაღაც უფრო მსუბუქ და თხელ კონსისტენციის მატარებელ სასმელად, მაგრამ ადამიანი ყველაფერს ეჩვევა და მეც შევეჩვიე. ისე გავუშინაურდი „ატენურს“, „თავკვერს“ და „გორულ მწვანეს“, რომ ახლა უკვე კახურ ღვინოს ვეღარ ვსვამ, რაღაცნაირად სქელი და ენისმწკლარტავი მეჩვენება.

ბედმა გამიღიმაო, რომ იტყვის კაცი, სწორედ ჩემზე ითქმის. სამსახურებრივი თუ პირადი საქმიანობისას ათასობით ადამიანთან მქონდა ურთიერთობა, რომელთა აბსოლუტური უმრავლესობა გამოირჩეოდა განსწავლულობით, ერთგულებით, სტუმართმოყვარეობით, რაინდობით, პატიოსნებით და მეცნიერების, კულტურის, ხელოვნებისა და სპორტის სიყვარულით.

მას შემდეგ „ბევრმა წყალმა ჩაიარა“. იზრდებოდა და იცვლებოდა გორი. ვიზრდებოდი და ვიცვლებოდი მეც. მახსოვს, გორში დამკვიდრებიდან დაახლოებით 30 წლის შემდეგ, ერთმა მშვენიერმა გოგონამ ქუჩაში „ძია“ მიწოდა. მეწყინა, მაგრამ როდესაც სახლში მისულმა სარკეში ჩავიხედე – დავმშვიდდი, დროს თავისი მიაქვს. უფრო მეტიც, ამ შემთხვევიდან 10-12 წლის შემდეგ, ისევ ქუჩაში და ისევ გოგონებმა, მოკრძალებით და ოდნავშესამჩნევი მოფერებით „პაპა“ მიწოდეს და აღარაფერი მწყენია – ფაქტი ჯიუტი რამ არის! ახლა უკვე დიდი პაპაც ვარ და როგორღაც დასანანია, რომ ასეთი მიმართვა, ჩვეულებრივ, ყოველდღიურ ცხოვრებაში არ არის დანერგილი.

ჩემი ცხოვრების „გორულმა“, 63 (სამოცდასამი) წლიანმა პერიოდმა განუწყვეტლივ სწავლასა და შრომაში გაიარა. ბევრჯერ მივაღწიე წარმატებას და დასანანი წარუმატებლობაც არაერთხელ მქონია, მაგრამ არასდროს დამიყრია ფარხმალი და მუდამ იმის მცდელობაში ვიყავი, რაც შეიძლება მეტი სასარგებლო საქმე მეკეთებინა.

მამხნევებდა ის, რომ უამრავი გამრჯე და კეთილი ადამიანი მედგა მხარში, ბევრსაც მე ვედექი ძმასავით: მასწავლიდნენ და ვასწავლიდი, მეხმარებოდნენ და ვეხმარებოდი, მეფერებოდნენ და ვეფერებოდი, მითმენდნენ და ვუთმენდი...

დიდი გზაა გავლილი... შეუჩერებელ ჭაპანწყვეტაში ადამიანები მაკლდებოდნენ და მემატებოდნენ, მამწუხრებდნენ და მახარებდნენ, მირჩევდნენ და მაკვალიანებდნენ.... შეუფერხებლად ტრიალებდა ცხოვრების ბორბალი; ჭაღარას ჭაღარა ემატებოდა და ნაოჭს – ნაოჭი....

დღეს ძნელია დეტალურად გავიხსენო, თუ ვინ როდის, როგორ და რა ვითარებაში: მომცა კეთილი სალამი, ამომიდგა მხარში ჭირსა და ლხინში, არ დაიშურა რჩევა-დარიგება, შემისწორა სიმღერა, ამიმაღლა კლასი ჭადრაკის თამაშში,

შემიქო თუ დამიწუნა თამადობა, გაიზიარა სპორტული მიღწევების სიხარული თუ წარუმატებლობით მოგვრილი სევდა, მომილოცა დაბადების დღე, გვერდში მედგა შვილების ქორწილებში, გზა დამილოცა და გამიკვალა მეცნიერებაში, შემაყვარა პოეზია, მისაყვედურა აჩქარებული და მოუფიქრებელი ქმედებისათვის, მომცა სანიმუშო მაგალითი სიცოცხლის, სიყვარულის, რაინდობისა და სამშობლოსათვის თავგანწირვის და ა. შ. ყველაფერს როგორ ჩამოთვლის კაცი?!

ყველანაირი რანგის მქონე ადამიანი ტრიალებდა ჩემს გარშემო და ყველანაირი ზნეობრივი სტატუსის წრეში მომიხდა ყოფნა და მოღვაწეობა.

ცხოვრებამ წილად მარგუნა სხვადასხვა ეტაპზე მათთან ერთად ყოფნა. ბუნებრივად და ძალდაუტანებლად ვთანამშრომლობდით: საძებნს ვეძებდით, მისაღწევს ვაღწევდით, გასაკეთებელს ვაკეთებდით, გასაყოფს ძმურად ვიყოფდით, ასატანს ვიტანდით, ერთმანეთს ვუგებდით და ერთმანეთს ვავსებდით...

ბევრი ახლობელი და ნაცნობი მყავს დღეს გორში. ჯერ კიდევ მაქვს შესაძლებლობა და სურვილი, რომ მათ დიდი მადლობა მოვახსენო 63 წლიანი მასპინძლობისათვის და სიცოცხლეშივე მივაგო პატივი მათ, მუდმივი ყურადღებისა და თანადგომისათვის.

რაც შეეხება აწგარდაცვლილებს – მათ უკვე პირადად ვეღარ გადავუხდი მადლობას, ვეღარ ჩავეხუტები და ვეღარ გავამხნევებ ადრინდებულად... შორს წასულან, თუმცა, მაინც ახლოს არიან, სათითაოდ და ცალცალკე წასულებს ერთად ვხედავ და მადლიერებით ვიდრეკ მუხლს მათ წინაშე ყველაფერი იმისათვის, რაც ჩემთვის გააკეთეს სხვადასხვა დროს და სხვადასხვა ვითარებაში.

ისინი დღეს ჩემთვის მდუმარე კოჰორტაა, რომელიც კვლავ იბრძვის, მიწაზე დატოვილი სიკეთის კვალით, ადა-

მიანთა კეთილდღეობის, სრულყოფის და ამქვეყნიურ ცოდვათა მონანიებისათვის.

2006 წელს ჩავიფიქრე გამომეცა წიგნი, რომელიც მიეძღვნებოდა იმდროისათვის გარდაცვლილი გორელების ხსოვნას და ამით ნაწილობრივ მაინც მოვიხდიდი ვალს მათ წინაშე. მხარში ამომიდგნენ აწგარდაცვლილთა მომგონებლები (მეუღლეები, მონაგარი, მეზობელ-მეგობრები და ა.შ.) და 2007 წელს გამოვიდა წიგნის პირველი ნაწილი სახელწოდებით „...და ვანთებ სანთელს“ იმქვეყნად წასულთა მოკლე ბიოგრაფიული ცნობებით და ოჯახის წევრთა მიერ შერჩეული ფოტოსურათებით.

წიგნმა მიიპყრო საზოგადოების ფართო წრის გაძლიერებული ყურადღება და სულ მალე გამოიცა მეორე (2007 წ.) და მესამე (2008 წ.) ნაწილებიც.

წიგნები განთავსდა როგორც ქ. გორის ბიბლიოთეკებში, ისე საქართველოს ეროვნულ ე.წ. საჯარო ბიბლიოთეკის კარტოტეკებში.

2008 წელს საქართველოს მოუწია რუსეთის აგრესიის მოგერიება. ჩვენმა ქვეყანამ გაიღო დიდი მსხვერპლი. ომის შედეგად რუსეთმა „მიითვისა“ ჩვენი ქვეყნის ტერიტორიის თითქმის ოცი პროცენტი. გაჩნდა „ახალი“ მსხვერპლი – უდროოდ წასული ახალგაზრდების სახით.

კვლავ დადგა ჩემს „დღის წესრიგში“ წასული ადამიანების გახსენებისა და არდავიწყების პრობლემის გადაწყვეტის თემა და გავაგრძელე ზემოთხსენებული წიგნის გამოცემა. ჩემს ამ განცდას ამაგრებდა მრავალრიცხოვანი სატელეფონო ზარები და დიდი პაუზის შემდეგ, კერძოდ 2013 წელს გამოვიდა იმქვეყნად წასული გორელების ხსოვნის მე-4 წიგნი, მხოლოდ ახალი სახელწოდებით („ხსოვნის წიგნი“) და ყდის ახალი დიზაინით.

დღეისათვის უკვე გამოიცა „ხსოვნის წიგნის“ ათი ნაწილი და მათში მოთხრობილია აწგარდაცვლილი გორელების

შესახებ, რომლებიც გამოაკლდნენ საზოგადოებას სხვადასხვა მიზეზთა გამო და რომლებმაც თავიანთი კვალი დაამჩნიეს ქ. გორის ისტორიას.

ახლობელ-მეგობრებმა მირჩიეს, რომ წიგნში წარმოდგენილი მოკლე ბიოგრაფიული მონაცემები გამემდიდრებინა მსოფლიო კლასიკოსების გამონათქვამებით, უფრო ზუსტად – **ეპიგრაფებით,** რაც უფრო მეტ დამაჯერებლობას და ნოსტალგიურ ელფერს შესძენდა წიგნს.

გავითვალისწინე რა მეგობრების რჩევა, „ხსოვნის წიგნის“ მე-5 ნაწილიდან დავიწყე ეპიგრაფების გამოყენება, რამაც ნამდვილად უფრო მიმზიდველი და საინტერესო გახადა თითოეული ბიოგრაფია, რამეთუ ეპიგრაფები, შეძლებისდაგვარად, შერჩეულ იქნა პიროვნებების ხასიათის, ინტერესების, ცხოვრების წესის, იერის, მისწრაფებების, შემოქმედების თუ ოცნებების შესაბამისად.

წინამდებარე წიგნში თავი ავარიდე საყოველთაოდ აღიარებული ფილოსოფოსების, სახელმწიფო მოღვაწეების თუ ცნობილი ისტორიკოსების და ხალხური სიბრძნის შესაფერ მასალებს და წარმოგიდგენთ მხოლოდ საკუთარ მოსაზრებებს (ეპიგრაფებს).

იმედი მაქვს, წიგნი კარგი საჩუქარი იქნება აწგარდაცვლილების მომგონებლებისათვის და ჩემი მისიაც ნაწილობრივ იქნება შესრულებული (ნაწილობრივ-მეთქი, ვამბობ, რადგან წიგნის გამოცემა გრძელდება. ამჟამად მზადდება მეთერთმეტე წიგნი).

სარჩევში მითითებულია „ხსოვნის წიგნის“ ის ნაწილი, რომელშიც წარმოდგენილია ამათუიმ პიროვნების მოკლე ბიოგრაფიული მონაცემები.

ავტორი

აბრამიშვილი ვაჟა
(1932-2017)



შენ დიდი კაცი იყავი,
მრავალ სიკეთის გამო,
ვერას გაკლებდა ჭილყვავი,
დღესაც აუგს რომ ლამობს.

აბუაშვილი ლეილა
(1932-1990)

თავი დაჰხროდა ბალახს,
კვნესა ისმოდა ქვისა!..
დარდი ეფინა ქალაქს,
დარდი ჩვენი და სხვისა.

აბულაძე როლანდი
(1975-2011)



ბევრს წილად ერგო თალხი,
ბევრსაც დასწყვიტე გული,
არ დაგივიწყებს ხალხი,
დარჩი ლეგენდად თქმული.



ასპანაძე სოსო
(1975-2011)

დრო ჰქრის თავის გზით, როგორც ისარი,
არაფრად გიგდებთ ნაფიქრ-ნააზრებს,
წარმატებული კაცი ის არის,
თავის ნაღვაწით დროს ვინც გაასწრებს.

ახობაძე ელგუჯა (გუჯა)
(1931-2018)

სულით უწმინდესს და გულით რაინდს,
პატივს გაგებდა პატარაც,დიდიც,
ველარ შეხვდები მოცისფრო აისს,
სიცოცხლის მზიდი ჩამტყდარა ხიდი.

ბზიშვილი რევაზი
(1923-1996)

ტანას* ნაპირზე აღარ თრთის სიო,
ქვებს შეეფარა კალმახთა ჯიში,
ბრძენი კაცისდარ ფესვმაგარ სიონს**,
შემოაღამდა მამულზე ფიქრში.

---

* ტანა - მდ. გორის რაიონში, ატენის ხეობაში
** სიონი - ეკლესია ატენის ხეობაში.

ბეგლარიშვილი გიორგი
(1953-2015)



მხიარული და მამაცი...
ყველასთვის კარგი სურდა,
სძულდა მუდო და ზარმაცი,
მტერს უბრუნებდა „ხურდას“.
სწამდა, რომ სძლევდა სატანას,
აურა ჰქონდა მადლის...
ძმაკაც-მეგობრის გატანას
ბალავრად სთვლიდა სახლის.

ბერიშვილი თამარი (1926-2012)
და კიტოვანი შალვა (1925-1968)



მათ ერთმანეთი უყვარდათ ძლიერ,
სულს რომ ჰბერავდნენ მომავლის ხომალდს,
უქებდნენ გარჯას, ცოდნას და იერს...
გული დასწყვიტეს მოძმეს და ქომაგს.

ბიჩინაშვილი ოლღა
(1926-2008)

ღიმილი და სათნოება
არ გკლებია, არა...
რას გვიქვია წლების კლება,
გვეხსომები მარად..



ბიძინაშვილი ამირანი
(1940-2014)

უყვარდი ყველას, გიყვარდა ყველა,
დაგთამაშებდა სახეზე ღიმი...
თაყვანსა სცემდი „ყინწვისს“* და „გელათს“*,
მკერდში გიჟღერდა სიკეთის სიმი.



ბრეგვაძე ომარი
(1941-2009)

შენ არ იყავი სიკვდილის ღირსი
და ამიტომაც შევივსეთ ყანწი,
შვილიშვილები შეკრულან ფიცით,
არ დაგივიწყონ კაცური კაცი.

---

* ყინვისი, გელათი - მონასტრები.

გაბუნია ნინა
(1928-2009)



შენ გული გქონდა დიდი და თბილი,
ახლა ძალიან შორს ხარ აქედან,
უხვად გაიღე შენ შენი წვლილი,
ყველას უყვარდი, ყველა გაქებდა.

გელდიაშვილი ვახტანგი
(1922-1992)



აღმზრდელის რანგით ამაყად იდექ,
არ დაგიზოგავს ფიქრი და გარჯა...
და მკერდში გული გიძგერდა ვიდრე
სიკეთეს ჭედდა გონიც და მაჯაც.

გიგაია ნიკოლოზი (კოლია)
(1913-1986)



სიკეთის რომ გაგვიკვალე ბილიკები,
ახლა ამ გზებს მიუყვება თაობა.
შენ ახსოვხართ, არ ცდებიან სხვისი ქებით,
შენ გვასწავლე მადლის ფასი-რაობა.

გოგიაშვილი ოთარი (ივანე)
(1924-2010)

კაცთა შეცნობის უნარი ჰქონდა,
გონება-გარჯით გახლდა უბადლო,
კარგს აკეთებდა – წვიმდა თუ თოვდა,
დაიმსახურა ხსოვნა უვადოდ.

გოგოლაძე სულიკო
(1935-2012)

კაცური კაცი გქონდა სახელად,
მშვიდობასა და სიკეთეს თესდი,
ვინ გამოჭედა გული ამხელა,
ვინ დაგილოცა გენი და ფესვი?!

დარჯანია ბორისი
(1923-1994)

ცრემლი გვახრჩობს, რომ წასულხარ
სადღაც, შორს,
არ ვინატრებთ სხვა კაცსა და სხვა გულს,
შენ დააკლდი არა მხოლოდ ქალაქ გორს...
შენ დააკლდი უსაყვარლეს მამულს.

ბრიქუროვი ვაროლია (1924-1999) და მერაბიშვილი ბესარიონი (1921-2003)

მათი ოჯახის დევიზი იყო:
პატიოსნება, სწავლა და შრომა,
გული უგებდა ორივეს თითქოს,
ვალმოხდილნი რომ დაადგნენ შორ გზას.

ელანდიშვილი რამაზი
(1971-2020)

ჩემო ძმაო, რა გითხრა?!
განწყობა მაქვს მწუხარის...
ოჰ, რა ადრე ჩაგვიქრა,
რამაზ, ძმობის ბუხარი.

იუფეროვები – ნიკოლოზი (1922-1982) და იორამი (1929-2004)



ნიკოლოზსა და იონას
იხსენიებენ ერთად...
არ უცხოვრიათ იოლად,
არ შერცხვენილან ღმერთთან.

კარიჭაშვილი იზაბელა (იზო) (1950-2020)

შენ იყავ წყარო ანკარა და
მაცოცხლებელი,
არა გწყალობდა არცა ყოფა
არცა სვე-ბედი...

კარიჭაშვილი ნიკოლოზი
(1923-2008)

ის ღვაწლმოსილის სიკვდილით მოკვდა,
ვაჟკაცი კაცის აურის მქონე,
ვერაგობას და სიცრუეს მტრობდა,
არ იშურებდა ნებას და ღონეს,
მისი იმედი სუყველას ჰქონდა,
ასაკით მცირეს, თუ ბევრის მცოდნეს.

კეჩხუაშვილი გაბრიელი
(1910-1976)

მშრომელი კაცი ბურჯია ერის,
ხალხი საქები სიტყვებით მღერის,
ის უკვდავია ასეულ წლებით...
შორიდან ისმის ვაჟკაცის ხმები.

მანძულაშვილი ანო
(1919-1999)

გთხოვ მაპატიო ამჯერადაც ძვირფასო დედა...
კარგიო, სთქვა და დაივიწყა უძილო ღამე,
მერე ალერსით ჩავუკოცნე თვალებში სევდა...
დედაზე ტკბილი ქვეყანაზე არსებობს რამე?!

მეგობური ანზორი
(1934-2007)

შენ იცოცხლე კაცთმოყვარის მრწამსით,
ერთგულება გენთო უქრობ სანთლად,
სამწუხაროდ – ანზორ შენი წასვლით
დაგვიმძიმდა საცხოვრისო კალთა.

ნასყიდაშვილები – თეიმურაზი (1955-1994) და ნიკოლოზი (1961-2007)

ვერ გაიმეტა საწუთრომ
თქვენთვის უკვდავთა ბედი...
დრო სწრაფად მირბის, რაც უფრო
მთლად ვიმოსებით სევდით.

ნინიაშვილი გურამი
(1931-1985)



არ უძებნია კალთა მფარველის,
არა ჰქონია სიყალბე ხმაში...
ძლიერი კაცი შემწეს არ ელის,
საყრდენს პოულობს საკუთარ თავში.

პერიფრაზი

პაპელიშვილი გიორგი
(1916-1988)



კაცურკაცობით იცოცხლე,
ტოლი არ გყავდა – ვიცი...
ღმერთს ვთხოვთ, იმქვეყნად იცხონე,
სანთლის წინ თქმული ფიცით.

რატიშვილი თამარი (გარდ. 2015)
და ავაზნელი შოთა (გარდ. 1997)

გამრჯე ეძებს და
შედეგსაც ჰპოვებს,
არ გვავიწყდება ვინც
ღრმა კვალს სტოვებს

სახვაძე ვლადიმერი (ვალიკო)

(1935-2005)

გონით და მკერდით ჭედდა იმედებს,
გზა-გზა იძენდა ძმაკაც-მეგობრებს,
უხვად გასცემდა მადლს და სიკეთეს,
ჭირივით სძულდა ქურდიც, მეკობრეც.



სირანაშვილი ნიკოლოზი

(1959-2018)

მოკვდა ვაჟკაცი ვალმოხდილი,
ხალხს ექცა ნაღვლად,
მაგრამ ამაყი თავით დადგა
სიკვდილზე მაღლა.



ტლაშაძე გენო

(1936-2020)

მას თავის ბედი და სივრცე ჰქონდა,
იცნობდა ბევრი, ბევრს თითონ სცნობდა,
„იცოდა ქიციც და ქიცმაცურიც“,
ვერ მოხიბლავდით საქმით მაცდურით.

ფერშანგიშვილი ოთარი
(1931-1999)

მსოფლიოს გასწვდა შენი ხმა თითქმის,
სმენა დაუტკბე ათასებს მრავალს,
შენს მისამართით დიდება ისმის...
გზას დასდგომიხარ ცისაკენ მავალს.

ქარუმიძეები
ირაკლი (1905-1986)
და გენო (1925-2016



ფუძე-საწყისით, წარმომავლობით,
ფესვძლიერნო და საქმით ქებულნო,
თქვენ დაიპყარით ყველა მაღლობი...
უთქვენოდ სითბოს ვეღარ ვგებულობთ.
გორი გიხსენებთ გულწრფელ მადლობით,
თქვენს ნაკველევზე მადლის მზე ბუდობს.

ქიტიაშვილი მარინე
(1943-2012)

უშენოდ ახლა მადლი ვით ვთვალოთ,
რად დაიობლე მშობელი გორი?!.
ვეღარ გიხილავთ რაინდო ქალო,
თუმც მანძილზე ხარ არც ისე შორით.



ქობლიანიძე მიხეილი
(1926-1995)

კაცურკაცობის იცხოვრე წესით,
ვერ გაშინებდა ბილიკი ვიწრო,
შენ სიკეთის ხეს უმრავლე ფესვი,
გვწამს, იმქვეყნადაც მამულზე ფიქრობ.



ქრისტესიაშვილი ლუარსაბი (ჟორა)
(1923-1975)

იმედით ვცოცხლობთ, რომ ადგილი ჩვენი ცაშია,
ერთხელ ჩატყდება საფეხური თუნდაც მეფური,
ყველა სულდგმული დღენიადაგ იმის ცდაშია,
რაც შეიძლება მაღლა იყოს ის საფეხური.

შიუკაშვილი მორისი
(1936-1998)

შენ ის ბიჭი ხარ,
შენ ის კაცი ხარ,
ოჯახს, საძმოს და
გორს რომ აკლიხარ.

ჩოჩიშვილი შოთა
(1950-2009

მკერდაზიდული, მკლავებაწვდილი,
ქვეყნის და ხალხის დიდებას ჭედდი,
ვერა გჯობნიდა ფრენით არწივი,
მაგრამ წილად გხვდა მუხთალი ბედი.

ციხისთავი დალი
(1938-2017)

...მერე ალერსით ჩავუკოცნე
თვალებში სევდა...
დედაზე ტკბილი ქვეყანაზე
არსებობს რამე?!



ჭანკოტაძე რევაზი
(1902-1953)

რაინდის მკერდში რაინდის გული
ფეთქავდა, რეკდა ძლიერი ხმებით,
ბედმა არგუნა ცხოვრება რთული...
კლდესავით იდგა ამაყი ნებით.

ჭილლაძე მერი
(1926-2013)

წახველ იმქვეყნად სასახელო
ქართველთა სწორი,
გვეამაყები, არ გივიწყებს
მშობელი გორი.



ჭილლაძე ომარი
(1942-2004)

წავიდა და დაგვიტოვა ტკივილი,
მტერი იყო ეშმაკის და სატანის,
არ სჩვეოდა წუწუნი და ჩივილი,
ვაჟკაცურად ზიდა მძიმე ჭაპანი.

ხაჩირაშვილები – ანზორი (1940-1974) და ზაზა (1966-2003)



სიცოცხლეს წამით შეუწყდა რიტმი,
რაღაცა დროით გაჩერდა თითქოს.
მათ შესახებ კვლავ სიკეთე ისმის,
თაფლის სანთელი დადნობას ითხოვს.

ხითარიშვილი ვასილი (1943-1993)

შენ ვაჟკაცურად უძლებდი ტკივილს,
ბედისწერამ რომ გარგუნა წილად
მუდამ მისდევდი სიკეთის ბილიკს,
იყო ყინვა თუ უწყვეტად წვიმდა.

ხოდელი შალვა (გარდ. 1987) და მაისურაძე რუსუდანი (გარდ. 2014)



...დაბოლოს ვის აქვს თქვენს გარჯაში ეჭვის უფლება,
ყველა თავის თავს მიხედავდეს კვლავაც ეგები,
კაცნი მაშინ ვართ, თუ ხალხის ბედს ვერთვით უკლებლად,
კაცნი მაშინ ვართ, თუ ჩვენს მამულს მტლად დავედებით.



ხორგუაშვილი პავლე (გარდ. 2018)

...მისი იმედი სუყველას ჰქონდა –
მეგობარს, ძმაკაცს,
მეზობელს, მოძმეს...

ხირსელები – ამბროსი (გარდ. 1972) და ვიქტორი (გარდ. 1993)

მათ თავის ირგვლივ შექმნეს სამყარო,
ერთობ სპეტაკი, გარჯით ქებული
მონაგარი კი ხარობს, ამაყობს
შრომისმოყვარე და დიდებული.

ხოჯევანიშვილი ნუგზარი
(1953-2016)

თითქოს ძალა მოგვემატა დანახვის და აღქმის,
რუხ-მოშავო ღრუბლის ქულა ცას აბნელებს
თითქოს,
ასე ვფიქრობთ, ასე გვჯერა... ვითარება საქმის
შენისთანა ერისკაცის ქვეყნად ყოფნას
ითხოვს...

ჯავახიშვილი ვახტანგი
(1938-2018)

...და საამაყო კაცი ის არის
თავის ნაღვაწით დროს
ვინც გაასწრებს...

„სამი მუშკეტერი“ (წიგნი X): ალექსანდრე (სანდრო) და გიორგი ჩხუბიანაშვილები და რევაზ ჭანკოტაძე



...კარგად გესმოდათ ყოფის რაობა,
პატივსა სცემდით წმინდა ღვთის ნებას,
განეკუთვნებით თქვენ იმ თაობას,
ვისთვისაც შრომა იყო ღირსება.
ძნელია ვიგრძნოთ სიცოცხლის “სიგრძე”,
სამყაროს კიდეს შევავლოთ თვალი...

გზას გიკვალავდათ ილიას სიბრძნე
და უქარქაშო ერეკლეს ხმალი.
კოლორიტები გიწოდათ ხალხმა
და თქვენს მონაგარს ამაყად გვეთქმის:
ყინვა იყო თუ უწყვეტი თავსხმა
სადარაჯოზე იდექით ქვეყნის.

„შესანიშნავი შვიდეული“ (წიგნი X): გიორგი სუხიშვილი, რევაზ ბზიშვილი, კოწო ნადირაძე, რამზეს მაზმიშვილი, რევაზ ჯავახიშვილი, ნუგზარ ონიაშვილი, ალექსი გოხელაშვილი.

თქვენ საზრუნავი იტვირთეთ ერთი –
ქვეყნის შენება, კეთება საქმის,

კეთილ ზრახვებში გმართავდათ ღმერთი
და სადავეებს გაძლევდათ მართვის.
    და შეიყვარეს „შვიდკაცა“ ღმერთის,
    უსაზღვრო გქონდათ ხალხისგან ნდობა,
    შორით ხმა ისმის, ჩვენს გულებს ერთვის,
    თქვენი განცდები და თქვენი ბჭობა.
დაგვიდგა ჟამი, ხმალს ველარ ვიქნევთ,
მთავარი ნატვრა აწუხებს ამ გულს –
თქვენისთანებმა იმრავლონ იქნებ,
თქვენისთანები სჭირდება მამულს.

სარჩევი

1. აბრამიშვილი ვაჟა ---------- 11 VI წიგნი
2. აბუაშვილი ლეილა ---------- 11 IX წიგნი
3. აბულაძე როლანდი ---------- 11 VIII წიგნი
4. ასპანიძე სოსო ---------- 12 X წიგნი
5. ახობაძე ელგუჯა ---------- 12 VIII წიგნი
6. ბზიშვილი რევაზი ---------- 12 X წიგნი
7. ბეგლარიშვილი გიორგი ---------- 13 XI წიგნი
8. ბერიშვილი თამარი და
   კიტოვანი შალვა ---------- 13 X წიგნი
9. ბიჩინაშვილი ოლღა ---------- 14 VII წიგნი
10. ბიძინაშვილი ამირანი ---------- 14 VIII წიგნი
11. ბრეგვაძე ომარი ---------- 14 VIII წიგნი
12. გაბუნია ნინა ---------- 15 VII წიგნი
13. გელდიაშვილი ვახტანგი ---------- 15 VIII წიგნი
14. გიგაია ნიკოლოზი ---------- 15 IX წიგნი
15. გოგიაშვილი ოთარი (ივანე) ---------- 16 IX წიგნი
16. გოგოლაძე სულიკო ---------- 16 VI წიგნი
17. დარჯანია ბორისი ---------- 16 IX წიგნი
18. გრიქუროვი ვაროლია და
    მერაბიშვილი ბესარიონი ---------- 17 IX წიგნი
19. ელანდიშვილი რამაზი ---------- 17 X წიგნი
20. იუფეროვები ნიკოლოზი და
    იორამი ---------- 18 VII წიგნი

21. კარიჭაშვილი იზაბელა (იზო) -------- 18 X წიგნი
22. კარიჭაშვილი ნიკოლოზი ---------- 19 V წიგნი
23. კეჩხუაშვილი გაბრიელი ---------- 19 X წიგნი
24. მანძულაშვილი ანო ---------- 19 VII წიგნი
25. მებადური ანზორი ---------- 20 X წიგნი
26. ნასყიდაშვილები თეიმურაზი და
ნიკოლოზი ---------- 20 IX წიგნი
27. ნინიაშვილი გურამი ---------- 21 VI წიგნი
28. პაპელიშვილი გიორგი ---------- 21 VIII წიგნი
29. რატიშვილი თამარი და
ავაზნელი შოთა ---------- 21 X წიგნი
30. სახვაძე ვლადიმერი (ვალიკო) -------- 22 VIII წიგნი
31. სირანაშვილი ნიკოლოზი ---------- 22 X წიგნი
32. ტლაშაძე გენო ---------- 22 X წიგნი
33. ფერშანგიშვილი ოთარი ---------- 23 VII წიგნი
34. ქარუმიძეები ირაკლი და
გენო ---------- 23 IX წიგნი
35. ქიტიაშვილი მარინე ---------- 24 VIII წიგნი
36. ქობლიანიძე მიხეილი ---------- 24 IX წიგნი
37. ქრისტესიაშვილი ლუარსაბი ---------- 24 V წიგნი
38. შიუკაშვილი მორისი ---------- 25 IX წიგნი
39. ჩოჩიშვილი შოთა ---------- 25 VII წიგნი
40. ციხისთავი დალი ---------- 25 X წიგნი
41. ჭანკოტაძე რევაზი ---------- 26 X წიგნი

42. ჭიღლაძე მერი ---------- 26 VII წიგნი
43. ჭიღლაძე ომარი ---------- 26 VII წიგნი
44. ხაჩირაშვილები ანზორი და
ზაზა ---------- 27 VII წიგნი
45. ხითარიშვილი ვასილი ---------- 27 X წიგნი
46. ხოდელი შალვა და
მაისურაძე რუსუდანი ---------- 28 IX წიგნი
47. ხორგუაშვილი პავლე ---------- 28 IX წიგნი
48. ხორსელები ამბროსი და
ვიქტორი ---------- 29 X წიგნი
49. ხოჯევანიშვილი ნუგზარი ---------- 29 IX წიგნი
50. ჯავახიშვილი ვახტანგი ---------- 30 IX წიგნი
51. სამი მუშკეტერი ---------- 30 X წიგნი
(ალექსანდრე და გიორგი
ჩხუბიანაშვილები და
ჭანკოტაძე რევაზი)
52. შესანიშნავი შვიდეული ---------- 31 X წიგნი
(სუხიშვილი გიორგი, ბზიშვილი
რევაზი, ნადირაძე კოწო,
მაზმიშვილი რამზესი,
ჯავახიშვილი რევაზი, ონიაშვილი
ნუგზარი, გოხელაშვილი ალექსი



ვახტანგ ჭანკოტაძე დაიბადა ქ. თელავში 1933 წელს. აქვე დაამთავრა ვაჟთა მეორე საშუალო სკოლა ოქროს მედლით.

თბილისის უნივერსიტეტის (მექანიკა-მათემატიკის ფაკულტეტი) დამთავრების შემდეგ მუშაობდა ქ. გორის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში სხვადასხვა თანამდებობებზე (ლაბორანტიდან სწავლულ მდივნამდე), ასევე რამდენიმე სამრეწველო ორგანიზაციის ხელმძღვანელად.

ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი, გორის საპატიო მოქალაქე, საქართველოს მწერალთა შემოქმედებითი კავშირის წევრი, ღირსების მედლის კავალერი, აკაკი წერეთლის პრემიის ლაურეატი. ავტორია ათეულობით სამეცნიერო შრომისა და გამოგონების, ასევე ოთხასამდე პუბლიცისტური წერილის. გამოცემული აქვს 40-ზე მეტი წიგნი ლიტერატურის სხვადასხვა ჟანრში